აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის წესი

რამაზ ბოლქვაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე

სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნები

- კანონმდებლობის მოთხოვნა 2012 წლიდან
- გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ზრდა
- პროცესების სტანდარტიზება
- ბიუჯიტერების პროცესის ეფექტიანობის ზრდა
- ინფორმაციის კონცენტრირება ერთ დოკუმენტში - ფინანსური და შინაარსობრივი ინფორმაცია
- გაზომვადი ინდიკატორების არსებობა

მეთოდოლოგია

მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპს:

- გასული წლის შედეგების შეფასება
- სამინისტროების/უწყებების საშუალოვადიანი გეგმების განახლება
- პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა
- პროგრამული ბიუჯეტის შედგენა
- მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების მონიტორინგი და ანგარიშგება

მეთოდოლოგია

- შესაბამისობაშია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსთან
- შესაბამისობაშია აჭარის ა/რ საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ კანონთან
- შესაბამისობაშია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ პროგამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიასთან
- ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართვას ა/რ მთავრობის საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე

მეთოდოლოგია მოიცავს

- ა/რ მთავრობის საბიუჯეტო პროცესის კალენდარს (ვადებს, ეტაპებს, მონაწილე მხარეებს, უფლებამოსილებებს)
- პროგრამული ბიუჯეტის სტრუქტურას
- პროგრამული ბიუჯეტის შედგენის, ბიუჯეტის მიმდინარეობის მონიტორინგის, 6 და 9 თვის შესრულებისა და ანგარიშგების ფორმებს
- ტერმინთა განმარტებებს

პრიორიტეტების კომისია

- იქმნება ა/რ მთავრობის დადგენილების საფუძველზე
- წარმოადგენს მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს და ეხმარება მას საბიუჯეტო პროცესის წარმართვაში
- ყალიბდება ა/რ სამინისტროების და უწყებების მენეჯერებისგან რომლებიც შეიმუშავებენ-წარმართავენ პოლიტიკას შესაბამის სფეროებში

კომისიის სხდომები - იმართება არანაკლებ ოთხჯერ წელიწადში

1) მხარჯავი დაწესებულებების მიერ გასულ წელს განხორციელებული პროგრამების ანგარიშის განხილვის და დასკვნის მომზადების მიზნით (15-20 თებერვალი)

2) პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამების შერჩევის მიზნით (10-20 მაისი)

3) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიმდინარე წელს განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების 6 თვის ანგარიშის განხილვის და დასკვნის მომზადების მიზნით (10-20 ივლისი)

4) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიმდინარე წელს განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების 9 თვის ანგარიშის განხილვისა და მომავალი წლის საბიუჯეტო პარამეტრების თაობაზე დასკვნის მომზადების მიზნით (10-20 ოქტომბერი)

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

გასული წლის შედეგების საფუძველზე სამინისტროები/უწყებები მარტი-აპრილის თვეში ახორციელებენ საშუალოვადიანი გეგმების განახლებას რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

- შედეგზე ორიენტირებულობას
- ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებას
- გეგმის ჩაშლას პროგრამებში და/ან პროექტებში და პროექტების მართვის მექანიზმების გამოყენებით
- შიდა ორგანიზაციული პროცესების შეცვლა და მისადაგება პრიორიტეტებისა და შედეგების მისაღწევად
- საშუალოვადიანი გეგმის დაინტერესებულ მხარეებთან განხილვას

პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა

- ემყარება სამინისტროების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს
- მოიცავს ინფორმაციას სამინისტროების უწყებების პრიორიტეტების (მათ შორის: საშუალოვადიანი მიზანი და სამოქმედო გეგმა)
- მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების (მათ შორის: ბიუჯეტი, მიზანი და აღწერა, მოსალოდნელი საბოლოო შედეგები) თაობაზე
- ა/რ პრიორიტეტების დოკუმენტისთვის პროგრამების შერჩევას და რანგირებას ახორციელებს პრიორიტეტების კომისია

პრიორიტეტების კომისია ახორციელებს

- ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ქვეპროგრამების განხორციელებაზე მონიტორინგის
- განხორციელებული პროგრამების გასული წლის შედეგების და მიმდინარე წლის მიმდინარეობის თაობაზე მომზადებული ანგარიშების განხილვას
- ა/რ სამინისტროებისა და უწყებების განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო პროგრამების განახლების პროცესის კოორდინირებას
- ა/რ სამინისტროებისა და უწყებების მიერ პროგრამების მონიტორინგის გეგმის შედგენის პროცესის კოორდინაციას
- პროგრამების შესრულებაზე შედგენილი ანგარიშების გათვალისწინებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის

პროგრამული ბიუჯეტის შედგენა

- ხორციელდება პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემული პროგრამების საფუძველზე, აგვისტოს თვეში

- ხდება სამინისტროების/უწყებების მიერ, პროგრამების და მასში შემავალი ქვეპროგრამებისთვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმატის საფუძველზე

პროგრამული ბიუჯეტი

მოცემულია სამინისტროების და უწყებების მომავალი წლის თითოეული პროგრამა, ქვეპროგრამა:

- ბიუჯეტი
- პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი
- პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა
- პროგრამის საბოლოო/შუალედური შედეგი
- შედეგის შეფასების ინდიკატორი (მათ შორის ინდიკატორის წყარო, ინფორმაციის მოგროვების მეთოდი, გაზომვის სიხშირე, ინფორმაციის მოგროვებაზე პასუხისმგებელი)

პროგრამული ბიუჯეტი

- მეთოდოლოგიასთან და პრიორიტეტების დოკუმენტთან შესაბამისობა მოწმდება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ

- პროგრამები და ქვეპროგრამები სამინისტროების და უწყებების მიერ განიხილება დაინტერესებულ მხარეებთან

- სამინისტროების პროგრამები/ქვეპროგრამები საბოლოოდ ზუსტდება ოქტომბრის თვეში, მომავალი წლის საბიუჯეტო პარამეტრების საბოლოო განსაზღვრის შემდეგ

პროგრამების/ქვეპროგრამების მიმიდინარეობის (6 და 9 თვის) და წლიური შედეგების ანგარიშები

- სამინისტრებისა და უწყებების მიერ წარედგინება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტს (პრიორიტეტების კომისიის სამდივნო)
- განიხილება პრიორიტეტების კომისიის მიერ
- ანგარიშები წარმოადგენს მიმიდნარე წლის საბიუჯეტო განწერაში ან ა/რ ბიუჯეტის კანონში შესატანი ცვლილებების საფუძველს
- ეხმარება მთავრობას/ სამინისტროებს მოახდინონ მიმდინარე და მომავალი წლის საშუალოვადიანი პროგრამების დაგეგმვა, მათი ეფექტიანობის გაზომვა
- ანგარიშების ფორმები განსაზღვრულია მეთოდოლოგიით

პროგრამების და ქვეპროგრამების მონიტორინგი

- ხორციელდება სამინისტროების და უწყებების მიერ პროგრამების და ქვეპროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორების საფუძველზე
- სამინისტროები და უწყებები ადგენენ მონიტორინგის ყოველწლიურ გეგმას რომელიც წარმოადგენს პროგრამების მიმდინარეობის 6 და 9 თვის ანგარიშგების საფუძველს
- მონიტორინგის გეგმის შედგენის კოორდინაციას ახორციელებს პრიორიტეტების კომისია
- მონიტორინგის გეგმის ფორმატი, პროცედურები, ვადები, ანგარიშგების წესი განსაზღვრულია მეთოდოლოგიით

გმადლობთ
ყურადღებისათვის